

ბრიტანული საპარლამენტო დებატები

თაობა
GENERATION

თამაშის ზოგადი სტრუქტურა

- ბრიტანულ დებატებში მონაწილეობს 4 ორკაციანი გუნდი:
  - გამხსნელი მთავრობა;
  - გამხსნელი ოპოზიცია;
  - დამასრულებელი მთავრობა;
  - დამასრუებელი ოპოზიცია;


გამხსნელი მთავრობა
პრემიერ-მინისტრი
პრემიერ-მინისტრის მოადგილე
გამხსნელი ოპოზიცია
ოპოზიციის ლიედერი
ოპოზიციის ლიედერის მოადგილე
დამასრულებელი მთავრობა
მთავრობის ლიდერი
მთავრობის წევრი
დამასრულებელი ოპოზიცია
ოპოზიციის წევრი
ოპოზიციის ორგანიზატორი

თამაშის მსვლელობა

- დებატებს იწყებს გამხსნელი მთავრობის პრემიერ-მინისტრი (5 წუთი)

↓

- გამხსნელი ოპოზიციის ოპოზიციის ლიდერი (5წუთი)

↓

- გამხსნელი მთავრობის პრემიერ მინისტრის მოადგილე (5 წუთი)

↓

- გამხსნელი ოპოზიციის ოპოზიციის ლიდერის მოადგილე (5 წუთი)

დებატების მონაწილეებს უფლება აქვთ თამაშის მსვლელობისას დასვან კითხვები, თუმცა გამოსვლის 1-ლი წუთის გასვლის შემდეგ და ბოლო წუთის დაწყებამდე (ჟიური ანიშნებს მაგიდაზე ხელის დაკაკუნებით). გამომსვლელი უფლებამოსილია მისცეს კითხვის დასმის მსურველს უფლება კითვის დასმისა ან არ მისცეს უფლება.

თამაშის მსვლელობა

- დამასრულებელი მთავრობის მთავობის ლიდერი(5 წუთი)

↓

- გამხსნელი ოპოზიციის ოპოზიციის წევრი (5წუთი)

↓

- გამხსნელი მთავრობის მთავრობის წევრი (5 წუთი)

↓

- გამხსნელი ოპოზიციის ოპოზიციის ორგანიზატორი (5 წუთი)

დებატების მონაწილეებს უფლება აქვთ თამაშის მსვლელობისას დასვან კითხვები, თუმცა გამოსვლის 1-ლი წუთის გასვლის შემდეგ და ბოლო წუთის დაწყებამდე. გამომსვლელი შეუძლია მისცეს კითხვის დასმის მსურველს უფლება კითხვის დასმისა ან არ მისცეს კითვის დასმის უფლება.

გუნდების პოზიციები და სადებატო თემა:

- სადებატო თემა და გუნდის პოზიცია გუნდებისათვის წინასწარ განსაზღვრული არ არის.
- გუნდების პოზიციების განაწილება ხდება თამაშის დაწყებამდე კენჭისყრით.
- როდესაც გუნდებისთვის ცნობილი გახდება მათი პოზიცია, მათ მიეწოდება სადებატო თემა და ეძლევა 30 წუთი მოსამზადებლად;

სტრატეგიები პოზიციის მიხედვით

- **გამხსნელი მთავრობა:**

სადებატო თემის გამოცხადების შემდეგ, გამხსნელი მთავრობა ახდენს კონკრეტული პოზიციის შემუშავებას, რომელიც გამომდინარეობს მოცემული რეზოლუციიდან, თუმცა ახდენს მის დაკონრეტებას (კერძო ქეისი)

ქეისის ძირითადი კრიტერიუმებია: ქეისი უნდა გამომდინარეობდეს რეზოლუციიდან და პოზიცია უნდა იყოს საკამათო.

გამხსნელმა მთავრობამ უნდა შემოიტანოს დეფინიციები/ განმარტებები რეზოლუციის სწორი ფორმულირებისთვის, ასევე სპეციფიკური ან/და მნიშვნელოვანი ტერმინების განმარტებისათვის, რათა დებატები განსხვავებული მიმართულებით არ წარიმართოს.

ქეისი შეიძლება იყოს: **ღირებულებითი** (გამართელბულია, ჯობია, კარგია, ეფექტიანია), **ფაქტორბრივი** (ფაქტები, სტატისტიკური მონაცემები, სხვა დამამტკიცებელი მასალა), **პოლიტიკური** (უნდა წარმოჩნდეს პრობლემა და მისი გადაწყვეტის გზა).

მთავრობას მოცემული ქეისის საშუალებით შეუძლია წარმართოს დებატების მსვლელობა მისთვის ხელსაყრელ ჭრილში

სტრატეგიები პოზიციის მიხედვით

- **გამხსნელი ოპოზიცია**:

ოპოზიციის ძირითადი ფუნქციაა უარყოდა და დაპირისპირება, აქედან გამომდინარე მისი სტრატეგია მთლიანად დამოკიდებულია, მთავრობის პოზიციასა და შეთავაზებაზე.

ოპოზიცია ელოდება თუ რა ტიპის ქეისს შემოიტანს მთავრობა და ლოგიკისა და დებატების წესების პრინციპიდან უტევს მას. ამასთან მნიშვნელოვანია, რომ ოპოზიცია უნდა მიყვებოდეს მთავრობის პოზიციის სტრუქტურას და პუნქტობრივად ახდენდეს მასზე დაპირისპირებას.

უარყოფის დროს მნიშვნელოვანია ოპონენტის მოსაზრების მოკლე გამეორება და შემდეგ ლოგიკურად მისი დანგრევა.

სტრატეგიები პოზიციის მიხედვით

- **დამასრულებელი მთავრობა:**

დამასრულებელ მთავრობას შეუძლია:

- განავრცოს პირველი მთავრობის პოზიცია და გაამდიდროს იფი მნიშვნელოვანი ელემენტებით;
- ახალი მიმართულება დაამატოს პირველ პოზიციას;
- უფრო მეტად დაავიწროვოს და დააკონკრეტოს თემა;

შესაძლებელია ორი ვარიანტი:

1. მეორე მთავრობის პოზიცია იყოს კავშირში გამხსნელი მთავრობის კერძო ქეისთან და ამასთანავე წარმოადგენდეს უკეთეს შეთავაზებას და საკამათო საკითხს.

2. ,,ზურგში დანის ჩარტყმა (შედარებით რთული გზა), რომლის დროსაც დამასრულებელი მთავრობა რეზოლუციას სხვანაირად წარმოაჩენს და გამხსნელი მთავრობის პოზიციას უარყოფს.

სტრატეგიები პოზიციის მიხედვით

- **დამასრულებელი ოპოზიცია:**

როგორც ავღნიშნეთ ოპოზიციის ძირითადი ფუნქციაა უარყოდა და დაპირისპირება.

მეორე ოპოზიციამ საბოლოოდ უნდა დაუპირისპირდეს **ორივე მთავრობის პოზიციას** პუნქტობრივად, გარდა ამისა მაქსიმალურად უნდა შეეცადოს გაამყაროს პირველი ოპოზიციის უარყოფები და დაამატოს თავისი უფრო მყარი და არგუმენტირებული უარყოფა, რითაც დაამტკიცებს, რომ მისი უარყოფა და დაპირისპირება უფრო მყარი და არგუმენტირებულია

მომხსენებელთა მოვალეობები

სპიკერი	ფუნქცია-მოვალეობა
პრემიერ-მინისტრი	• მისალმება • შესავალი • დეფინიციები • ქეისის წარდგენა • დასკვნა
ოპოზიციის ლიდერი	• მისალმება • დეფინიციებზე რეაგირება • ქეისის უარყოდა • დასკვნა
პრემიერ-მინისტრის მოადგილე	• მისალმება • ქეისის აღდგენა • ახალი არგუმენტები • მცირე შეჯამება • დასკვნა
ოპოზიციის ლიდერის მოადგილე	• მისალმება • აღდგენილი ქეისის უარყოფა • ახალი არგუმენტების უარყოფა • მცირე შეჯამება • დასკვა

მომხსენებელთა მოვალეობები

სპიკერი	ფუნქცია-მოვალეობა
მთავრობის ლიდერი	• მისალმება • შესავალი (წინა გამომსვლელების მცირე მიმოხილვა და საკუთრი ქეისის დამატება) • დეფინიციები • ქეისის წარდგენა • დასკვნა
ოპოზიციის წევრი	• მისალმება • დეფინიციაზე რეაგირება • ქეისის უარყოფა • დასკვნა
მთავრობის წევრი	• მისალმება • ქეისის აღდგენა • თამაშის შეჯამება • დასკვნა
ოპოზიციის ორგანიზატორი	• მისალმება • აღდგენილი ქეისის უარყოფა • თამაშის შეჯამება • დასკვნა

თაობა
GENERATION

მადლობა
ყურადღებისთვის